ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:№49. 49261352
თარიღი:15/05/2026

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ალექსანდრე დადუნაშვილის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 50--ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ალექსანდრე დადუნაშვილის 2026 წლის 15 მაისის 49-49261357 წერილის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ალექსანდრე დადუნაშვილს -** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება 2026 წლის 16-23 მაისის ჩათვლით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამხედრო სარეზერვო სამსახურში, ყოველწლიური გეგმიური საწვრთნელი შეკრებისათვის.

2. მოხელის არყოფნის დროს მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსს სპეციალისტს **ქეთევან კირტავას** .

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ქეთევან კირტავასათვის თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებული სხვაობის დანამატის სახით გაცემა.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N 11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი